პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 67 (6132)

5 აპრილი, ოთხშაბათი 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ახალი მიღწევებით ვუპასუხებთ!

**საქართველოს სპორტკომიტეტში გამართულ კოლეგიის სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება „საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის საერთო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ".**

— **საქართველოს** ყველა მშრომელი, სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგის ყველა წარმომადგენელი, მათ შორის ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები, სპორტსმენები აღფრთოვანებით და სიამაყის გრძნობით შეხვდნენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას, — თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **დ. პერტენავამ**. — კონსტიტუციის პროექტში ნათლად აისახა ის დიდი პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური გარდაქმნები, რაც ჩვენს რესპუბლიკაში მოხდა ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების შემდეგ 40 წლის მანძილზე.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხებთან ერთად ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის მანძილზე ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნისა და მისი კონსტიტუციურად ჩამოყალიბების მდიდარი გამოცდილება შეიძინეს, ამიტომაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტი, რომლის ყველა მუხლს, ყველა დებულებას ეცნობიან დიდი ინტერესით ვეცნობით, ასახავს სოციალიზმის ყველა დიად მონაპოვარს, კანონზომიერად განამტკიცებს ადრინდელი კონსტიტუციის იდეებისა და პრინციპების მემკვიდრეობითობას.

პროექტში ჩამოყალიბებულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი და მათი მოვალეობანი, რომლებიც გამდიდრდა ახალი შინაარსით და, ჩვენი საზოგადოების მიერ მიღწეული განვითარების შესაბამისად, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია ფიზკულტურისა და სპორტის სფეროში მოპოვებული წარმატების, ფიზკულტურული მოძრაობის არნახულ სიმაღლეებზე ასვლასთან დაკავშირებით მისი სოციალური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კონსტიტუციურად ფიქსირების ფაქტი. კონსტიტუციის პროექტში თვალსაჩინოდ გამოიყურება მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ტურიზმის განვითარების დახასიათება. კონსტიტუციის პროექტში მესამე თავის 24-ე მუხლში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ „სახელმწიფო ხელს უწყობს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას". ეს კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმ დიდი ზრუნვისა, რასაც კომუნისტური პარტია და მთავრობა იჩენს ჩვენში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობისთვის.

რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების, ფიზკულტურული აქტივის, სპორტსმენების წინაშე მეტად საპატიო და მნიშვნელოვანი ამოცანები დგას — პარტიისა და მთავრობის ამ დიდ ზრუნვას ვუპასუხოთ შესაფერისი შრომით, ენერგიისა და ძალის დაუზოგავად ვიბრძოლოთ რესპუბლიკაში მთელი ფიზკულტურული მოძრაობის თვისობრივად ახალ საფეხურზე აყვანისთვის, მომავალ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში — საბჭოთა კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადაზე და მოსკოვის ოლიმპიადაზე ღირსეულად გამოსვლისთვის.

— სპორტსაზოგადოება „განთიადის" ყველა წევრი, ყველა ჩვენი აქტივისტი, სპორტსმენი დიდი გულისყურით სწავლობს საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტს, — თქვა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ **ა. გიორგობიანმა**. — პროექტის 24-ე და 39-ე მუხლებმა ყველა განთიადელის სიხარული და სიამაყე გამოიწვია. მათი ერთსულოვანი აზრით, კონსტიტუციის პროექტს უნდა ვუპასუხოთ ენერგიული შრომით და ახალი მიღწევებით, სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმების განუხრელი და გადაჭარბებით შესრულებით, მასობრივი სპორტის ფართოდ დანერგვით, მთელი საქმიანობის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანით.

— „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს ფიზკულტურული კოლექტივები დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტს, — ამბობს „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ა. კორინთელი**. — ამ დღეებში ჩვენი ყურადღება მიმართულია იქითკენ, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ შედეგები ყველა მაჩვენებლების მიხედვით, განსაკუთრებული გულისყურით მოვეკიდოთ საწარმოთა ფიზკულტურულ კოლექტივებში მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩატარებას. თუ შარშან ჩვენი ფიზკულტურული კოლექტივების მიერ ორგანიზებულ შეკრებებში, კერძოდ ტურიზმში, სპორტულ თევზაობასა და სხვადასხვა კომპლექსურ ღონისძიებებში მონაწილეობდა ოთხი ათასამდე ოჯახი, წელს ამ ღონისძიებათა რაოდენობას და მათი ორგანიზაციის დონეს გაცილებით უფრო მეტ სიმაღლეზე ავიყვანთ, ავამაღლებთ საშეფო მუშაობას საცხოვრებელ ადგილებში, ფართოდ გავშლით საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფების ქსელს, რისთვისაც დავასაქმებთ ენთუზიასტ სპორტსმენებს და ფიზკულტურულ მუშაკებს. უფრო დიდ ყურადღებას დავუთმობთ საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვას — წელს ჩვენი კოლექტივების 13 ათასი მშრომელი ჩაებმება ამ საჭირო და სასარგებლო საქმეში.

— ჩვენი ამოცანები, სპორტსმენთა პასუხისმგებლობა კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის განსახილველად გამოქვეყნების შემდეგ, — თქვა უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლის დირექტორმა **ნ. დუმბაძემ**, — ყოველი ჩვენი აღსაზრდელი გრძნობს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რაც მას აკისრია — იყოს მოწინავეთა შორის მოწინავე, რათა ღირსეულად დაიცვას რესპუბლიკის სახელი ისეთ დიდ ღონისძიებებში, როგორიცაა საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა, იბრძოლოს იმისთვის, რომ ჩაირიცხოს ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, მოსკოვში დაიცვას საბჭოთა სპორტის დიდება.

„დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის **ნ. გვახარიას**, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის **გ. ყირმელაშვილის**, აგრეთვე, „ლოკომოტივის", „კოლმეურნის", „ბურევესტნიკის" სპორტსაზოგადოებათა საბჭოების თავმჯდომარეების, საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის წევრთა გამოსვლებში ერთხმად აღინიშნა ის დიდი ენთუზიაზმი და სიხარული, რაც გამოიწვია საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტმა რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურულ მუშაკსა და სპორტსმენს შორის.

კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებათა ფართო კომპლექსს მიმართულს საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის ფართო განხილვისა და მისი ღრმად შესწავლისკენ. ამ მიზნით ფიზკულტურისა და სპორტის ხელმძღვანელი მუშაკები, პარტიის, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანები, მოწინავე მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერ-მუშაკები, სპორტის დამსახურებული ოსტატები, რესპუბლიკის, ქვეყნის, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, მოწინავე მწვრთნელები, მასწავლებლები, მსაჯები და სპორტის სხვა აქტივისტები ჩაატარებენ ფართო ახსნა-განმარტებით და პროპაგანდისტულ მუშაობას.

საზოგადოება „ცოდნასთან" ერთად მოეწყობა ლექციებისა და მოხსენებების ციკლი, სადაც განიხილავენ საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის ცალკეულ თავებს, ჩატარდება საუბრები ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ისტორიაზე, სახელმწიფოებრივ წყობაზე, ჩვენი რესპუბლიკის და ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაზე, პარტიის საგარეო პოლიტიკაზე, იმ ამოცანებზე, რაც ჩვენს წინაშე დასახა სკკპ XXV ყრილობამ. გათვალისწინებულია, აგრეთვე, ლექციებისა და საუბრების ჩატარება საბჭოთა და ქართული სპორტის მიღწევებზე, რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობის საკითხებზე.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის საერთო-სახალხო განხილვა უნდა გადაიქცეს მშრომელთა აქტივობის, ახალგაზრდობის შემოქმედებითი ინიციატივის მძლავრ სტიმულად სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობათა გადაწყვეტილებების ცხოვრებაში განუხრელად გატარების, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების საქმეში.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ციდან 8000-ჯერ

**საქართველოს** დოსააფის აეროდრომზე, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი საპარაშუტო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება, სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერმა ა. ოსიპოვმა თავისებური რეკორდი დაამყარა — მან მსოფლიოში პირველმა შეასრულა პარაშუტით მერვეათასე ნახტომი.

ოსიპოვს საბჭოთა საპარაშუტო სპორტში იცნობენ, როგორც ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო სპორტსმენს. მის ანგარიშზეა 40 მსოფლიო რეკორდი. საბჭოთა კავშირის მრავალგზის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ამერიკისა და უნგრეთის მსოფლიო ჩემპიონატებში ვერცხლის მედლები დაიმსახურა.

იმავე დღეს ა. ოსიპოვმა დაიწყო ნახტომების მეცხრეათასეული.

**სურათზე:** სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ოსიპოვი.

ფოტო „კომსომოლსკაია პრავდიდან".

## ჭიდაობა

### ავთანდილ მაისურაძე გამარჯვებულთა შორის

**ბონი.** აშშ-ში გფრ-ის „დიდ პრიზზე" გამართულ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში საბჭოთა ათლეტებმა სამი I, ოთხი II და ორი III ადგილი მოიპოვეს. გამარჯვებულთა შორის არიან: ოლიმპიური ჩემპიონები ულიანოვსკელი **ვ. კონსტანტინოვი** (ქვემსუბუქი წონა), მოსკოველი **ნ. ბალბოშინი** (ქვემძიმე) და თბილისელი **ა. მაისურაძე** (მძიმე).

გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდნენ რუმინელი სპორტსმენები, რომლებმაც ოთხი I ადგილი დაიკავეს. (საკდესი).

## წყალბურთი

**მინსკში** მიმდინარეობს წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები.

შეჯიბრების მესამე დღეს თბილისის დინამოელებმა დაამარცხეს ადგილობრივი სკიფი — 6:5.

კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს მოსკოვის დინამოელებმა, რომლებმაც სძლიეს ტაშკენტის „მეხნატს" 8:5. ამ დღის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო" (ალმა-ათა) — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ცწფ ბაქო) 9:8, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი (სსფ ცსკ) — „მოსკვიჩი" 4:3, უნივერსიტეტი (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) 5:3, „დინამო" (კიევი) — „დინამო" (ლვოვი) 9:6.

გუშინ გუნდები ისვენებდნენ.

## ტელეტაიპის ლენტიდან

**ბუდაპეშტი.** ხმლით მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 13 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა, გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონი, მოსკოველი ვ. კროვოპუსკოვი და 1977 წლის მსოფლიო ჩემპიონი, უნგრელი პ. გერევიჩი. წარმატება სარბიელის მასპინძელს ხვდა. კროვოპუსკოვი II ადგილზე გავიდა.

**მილანი.** უიმბლდონის ტურნირის ორგზის გამარჯვებულმა, 21 წლის შვედმა ჩოგბურთელმა ბიორნ ბორგმა დიდ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებით კვლავ დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი. გადამწყვეტ მატჩში ბორგმა დამაჯერებლად სძლია აშშ-ის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს ვ. გერულაიტისს — 6:3, 6:3.

**ბუენოს-აირესი.** პაკისტანის ბალახის ჰოკეისტთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში დაამარცხა ჰოლანდიის გუნდი 3:2 და პირველობა მოიპოვა. პაკისტანის გუნდი ერთადერთია, რომელმაც ორჯერ მოიპოვა გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონატებში. წლევანდელ ასპარეზობაში პაკისტანელებმა ფინალურ შეჯიბრებებში ზედიზედ 8 გამარჯვებით თავისებური რეკორდი დაამყარეს.

ვერცხლის მედლები ჰოლანდიელებს, ხოლო ბრინჯაოსი — ავსტრალიელ ჰოკეისტებს ხვდათ. ამ უკანასკნელებმა დაამარცხეს გფრ-ის გამოცდილი გუნდი — 4:3.

საბჭოთა ჰოკეისტები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ.

**ბუქარესტი.** ოლიმპიურმა ჩემპიონმა, უნგრელმა რაპირისტმა ილდიკო შვარცენბერგერმა გამარჯვება მოიპოვა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 8 ქვეყნის 70 სპორტსმენი მონაწილეობდა. ფინალში მან 4 შეხვედრა მოიგო. საბჭოთა მოფარიკავე ქალები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.



თბილისის დინამოელს, ახალგაზრდა სპრინტერ გ. დვალიშვილს ველოსპორტის მოყვარულები უკვე რამდენიმე წელია იცნობენ, როგორც ნიჭიერ, პერსპექტიულ ათლეტს. მის ანგარიშზეა რამდენიმე ღირსშესანიშნავი გამარჯვება. ამას წინათ ლენინაბადში გამართულ იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატზე მან სამი საპრიზო ადგილი დაიკავა.

**სურათზე:** გ. დვალიშვილი დისტანციაზე.

ა. საკოვის ფოტო.

# მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის შესახვედრად




ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: ვ. საბანაძე ბირთვის კვრაში რეკორდის დამყარების შემდეგ ესაუბრება შეჯიბრების ორგზის პრიზიორს თანაგუნდელ მ. ტულუშს; 800 მეტრზე რბენაში შეჯიბრების მომენტი.

ავტორის ფოტოები.

# გრაფიკს თუ ზუსტად შეასრულებენ...

სოხუმის ახალ ცენტრალურ სტადიონზე, „დინამოს“ სტადიონის სექტორებსა და ეშერაში რამდენიმე დღეს გაგრძელდა საქართველოს მოსწავლეთა საგაზაფხულო პირველობა მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში 57 გუნდი მონაწილეობდა.

ტურნირის მონაწილენი სამ ჯგუფად დაიყვნენ. I ჯგუფის კოლექტივებს 25-კაციანი გუნდი გამოჰყავდათ. II ჯგუფში მოასპარეზეთა ნაკრებები 5-5 სპორტსმენისგან შედგებოდა, ხოლო მესამეჯგუფელები 3-3 მძლეოსნით იბრძოდნენ.

17 კოლექტივი ამაოდ გაისარჯა — ქულაც კი ვერ მიიღო. ასეთებია თელავის, წულუკიძის, საგარეჯოს, ლენტეხის, ორჯონიკიძის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და სხვა რაიონების სპორტსმენები. არადა, იქაურ მოსწავლეებს მაინცდამაინც ძნელი ამოცანა როდი ჰქონდათ გადასაწყვეტი. ცხადია, რესპუბლიკის ყველა რაიონში ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ზრუნავენ ბავშვთა შორის „სპორტის დედოფლის“ დანერგვისა და განვითარებისთვის.

ეს შეჯიბრება გახლდათ მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადებაში გაწეული მუშაობის შემოწმების ერთ-ერთი ეტაპი. რესპუბლიკაში ტაშკენტის სტარტებისთვის მზადება ჯერ კიდევ შარშან დაიწყო — შეიქმნა ნაკრები 90 კანდიდატის შემადგენლობით. მოზარდებს საუკეთესო მწვრთნელები გამოუყვეს. რამდენიმე სასწავლო-საწვრთნელი შეკრებაც ჩატარდა. თბილისის მძლეოსნური მანეჟის მწყობრში ჩადგომამაც დიდი როლი შეასრულა და შედეგმაც არ დააყოვნა — სოხუმში რამდენიმე სპორტსმენმა საიმედო მაჩვენებელი მოიპოვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს პროფსაბჭოს სპორტსკოლის აღსაზრდელის, თბილისელი მეცხრეკლასელი ვ. საბანაძის მიერ ბირთვის კვრაში 16-17 წლის ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდის დამყარება. ო. ოდიშვილის მოსწავლის შედეგია 16,36 მეტრი.

ვერც ბადროს მტყორცნელებს (მოსწავლეები შემსუბუქებული ინვენტარით ასპარეზობდნენ), გარდაბნელებს ზ. ტალიკაშვილსა (65,10 მ) და ლ. მწითურს (62,18 მ), თბილისელ სპრინტერს მ. აზარაშვილს (რომელმაც 100 მეტრი 12,4 წამში გაირბინა) დავემდურებით. მათ პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულეს.

დასახელებული სპორტსმენები, ისე როგორც საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრთა უმეტესობა, ზუსტად ასრულებს გუნდის მზადების გრაფიკს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საკავშირო სპარტაკიადისთვის გაცილებით მაღალ შედეგებს მიაღწევს.

ამავე დროს შეჯიბრებამ ბევრი პრობლემის წინაშე დაგვაყენა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჩამორჩენა ჭოკით ხტომაში (სულ ორი მონაწილე), 400 მეტრზე თარჯრბენში, 800 და 1500 მეტრზე სირბილში, შუბის ტყორცნაში, გოგონების 100 მეტრზე თარჯრბენში, ბირთვის კვრაში. ამ სახეობებში გამარჯვებულებიც კი მესამე თანრიგის შედეგს დასჯერდნენ. არადამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ, აგრეთვე, სიმაღლეზე ხტომაში ბიჭების მიერ მოპოვებული შედეგები.

კიდევ ერთი გადაუჭრელი პრობლემაა გუნდების სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა. რესპუბლიკის ნაკრების წევრებიც კი... უქაცვებოდ არიან. სხვა კოლექტივებზე ლაპარაკიც ზედმეტია, ამ სპეციალური ფეხსაცმლის გარეშე კი მძლეოსნობაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვება წარმოუდგენელია. გვაკლია ჭოკები, შუბები.

სათანადო ორგანოებმა ამ საკითხების მოგვარებისთვის ახლავე უნდა იზრუნონ, რომ მძლეოსნებს ნორმალური წვრთნის ყველა პირობა ჰქონდეთ.

**ნ. თვაური,**
**საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი.**

●

## ტექნიკური შედეგები

**გოგონები. რბენა. 100 მ.** მ. აზარაშვილი (თბილისი I) — 12,4, ლ. ემუხვარი (აფხაზეთი) — 12,6, ლ. ქავორონკოვა (აჭარა) — 12,7; **200 მ.** აზარაშვილი — 26,3, ჟავორონკოვა — 26,5, ტ. რევა (აფხაზეთი) — 27,0; **400 მ.** ლ. წიწვალაშვილი (ახმეტა) — 1.00,9, შ. ონიაშვილი (თბილისი I) — 1.01,5, ე. გოლუტვინა (აფხაზეთი) — 1.02,1; **800 მ.** წიწვალაშვილი — 2.16,5, ნ. როსლავცევა (თბილისი I) — 2.32,2, ნ. ლარიონოვა (აფხაზეთი) — 2.32,9; **1500 მ.** ნ. კუპრეიშვილი (აფხაზეთი) — 5.06,7, მ. კენჭიაშვილი (გორი) — 6.01,0, ე. ბერიკიანი (ახალქალაქი) — 6.07,0. **100 მ თარჯრბენი.** ჟავორონკოვა — 15,5, ტ. ტურეცკაია (თბილისი I) — 15,6, ლ. აილიანი (აფხაზეთი) 18,4. **ხტომა. სიგრძეზე.** ტურეცკაია — 550, ქ. ჩოფიკაშვილი (თბილისი II) — 530, მ. გახოკია (გეგეჭკორი) — 512; **სიმაღლეზე.** მ. ქურდაძე (თბილისი I) — 155, ი. ჩოგოვაძე (ქუთაისი) — 155, მ. აბაშიძე (წყალტუბო) — 140. **ბირთვის კვრა.** მ. ხურცია (წულუკიძე) — 11,25, მ. ტულუში (თბილისი I) — 10,78, მ. ქევანიშვილი (თბილისი II) — 10,39; **ბადროს ტყორცნა.** ქევანიშვილი — 40,94, ტულუში — 40,30, დ. ზაქაიძე (თბილისი II) — 36,88; **შუბის ტყორცნა.** ი. კასოევა — 38,26, ლ. გუშარაშვილი (ორივე — თბილისი I) — 37,16, ა. სტროჩიანი (აფხაზეთი) — 28,70, **ესტაფეტა. 4×100 მ.** თბილისი I — 49,9, აფხაზეთი — 51,1, აჭარა — 52,2; **4×400 მ.** აფხაზეთი — 4.04,5, თბილისი I — 4.17,3, აჭარა — 4.19,9. **ხუთჭიდი.** ლ. შალიგინა (რუსთავი) — 3391 ქულა, ო. ვერშინინა (თბილისი I) — 3366, მ. მინასიანი (აფხაზეთი) — 2730.

**ბიჭები. რბენა. 100 მ.** ვ. ლისაკოვი (თბილისი I) — 11,2, გ. ზილფოვი (აფხაზეთი) — 11,2, ზ. ჭანიშვილი (მახარაძე) — 11,3; **200 მ.** ზილფოვი — 23,2, ლისაკოვი — 23,4, ჭანიშვილი — 23,6; **400 მ.** ა. დიმიჩი — 53,7, ქ. მაჩაიძე (ორივე — თბილისი I) 54,4, ს. სვეკროკინი (აფხაზეთი) — 54,6; **800 მ.** ა. სოლოვიოვი (თბილისი I) — 2.02,3, დიმიჩი — 2.07,0, ი. დრაგუნი (თბილისი II) — 2.08,3; **1500 მ.** დრაგუნი — 4.25,3, ვ. ალეხნო (თბილისი II) — 4.29,9, ტ. ვარდანაძე (წყალტუბო) — 4.32,2; **3000 მ.** ა. ხაჯინბა (აფხაზეთი) — 10.02,9, ი. ტიშინი (თბილისი II) — 10.06,7, ი. პილოიანი (ბორჯომი) — 10.11,5; **5000 მ.** ა. ჭამაგუა (აფხაზეთი) — 17.57,3, ი. აბაჯევი (წალკა) — 18.08,0, ნ. კუხიანიძე (წყალტუბო) — 18.18,6. **თარჯრბენი. 110 მ.** ო. წიკლაური (თბილისი I) — 15,6, დ. კალაძე (რუსთავი) — 15,7, თ. ყიფიანი (ქუთაისი) — 16,2; **400 მ.** ო. ბრედიხინი (რუსთავი) — 1.00,9, პ. ოსტაშენკო (წყალტუბო) — 1.03,0, ს. ძიძიკაშვილი (თბილისი II) — 1.03,3. **ბირთვის კვრა.** ვ. საბანაძე (თბილისი I) — 16,36, დ. ლომჯარია (მახარაძე) — 15,23, ქ. ფხოველიშვილი (თბილისი I) — 13,76; **ბადროს ტყორცნა.** საბანაძე — 52,52, ა. ქორიძე (მახარაძე) — 50,46, ა. მწითური (გარდაბანი) — 46,98; **შუბის ტყორცნა.** გ. ბიაზარაშვილი (ახმეტა) — 51,32, ს. გენიაშვილი (დუშეთი) — 50,96, გ. კილასონია (აფხაზეთი) — 43,90. **უროს ტყორცნა.** ზ. ტალიკაშვილი — 65,10, ლ. წითური — 62,18, ზ. ტაკნიაშვილი (ყველა — გარდაბანი) — 53,64. **ხტომა. სიგრძეზე.** გ. ჩადუნელი — 688, ა. ნერსესიანი (ორივე — თბილისი I) — 670, ს. კაიაშვილი (ახმეტა) — 634; **სიმაღლეზე.** ი. ბელსკი — 185, ვ. კანდელაკი — 185, ქ. კანდელაკი (ყველა — თბილისი I) — 185; **სამხტომი.** ა. ნერსესიანი (თბილისი I) — 14,55, ს. ახვლედიანი (თბილისი II) — 13,67, ს. კუშაკოვი (მახარაძე) — 12,94; **ჭოკით.** ი. სუხოვი (აფხაზეთი) — 260, გ. ბაზაძე (ქუთაისი) — 220. **სპორტული სიარული. 10 კმ.** ბ. მელქონიანი (თბილისი I) — 53.04,7, ლ. ვალიევი (თბილისი II) — 53.58,2, მ. მალაზონია (აჭარა) — 54.27,5. **ესტაფეტა. 4×100 მ.** თბილისი I — 44,1, თბილისი II — 46,2, მახარაძე — 46,7; **4×400 მ.** აფხაზეთი — 3.38,3, თბილისი I — 3.38,6, წყალტუბო — 3.48,1. **ათჭიდი.** ე. ფილიმონოვი (ფოთი) — 5588 ქულა, ქ. ყესაშვილი (ქარელი) — 5292, ა. კურილნიკოვი — (აფხაზეთი) — 5086.

**გუნდური. პირველი ჯგუფი.** თბილისი I — 33682 ქულა, აფხაზეთი — 31144, აჭარა — 19742; **მეორე ჯგუფი.** ქარელი — 7932, გარდაბანი — 7813, ფოთი — 7788. **მესამე ჯგუფი.** მცხეთა — 1542, ზესტაფონი — 1275, გეგეჭკორი — 1085.

# რატომ ჩამორჩნენ „სპარტაკი“ და „ლოკომოტივი“?

**საქართველოს** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და რესპუბლიკის დოსააფის ცენტრალურმა კომიტეტმა ორ წელზე ცოტა მეტი ხნის წინ იმსჯელეს ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებში ტყვიის სროლის დანერგვისა და განვითარების დონის შესახებ და მდგომარეობის გაუმჯობესების გზები დასახეს.

დადგენილებას უკვალოდ არ ჩაუვლია: ყოველწლიურად ეწყობა რესპუბლიკური შეჯიბრებები რაიონების გუნდების მონაწილეობით; მასობრივი ასპარეზობები რამდენიმე ეტაპად, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისადმი მიძღვნილი ტურნირები და სხვ. დოსააფისა და პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების ბევრ ორგანიზაციაში ამაღლდა ტყვიის სროლაში მომეცადინეთა რიცხვი და შედეგები, საგრძნობლად გაიზარდა თანრიგოსანთა რაოდენობა.

მუშაობის გარდაქმნა განსაკუთრებით თვალსაჩინოა „განთიადისა“ და „კოლმეურნის“ ცენტრალურ, „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოებისა და დოსააფის აფხაზეთის ორგანიზაციებში, რომლებშიც ტყვიის სროლის მასობრივად განვითარებასთან ერთად სათანადო ყურადღება ეთმობა მაღალი თანრიგის სპორტსმენების აღზრდას, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრების მომზადებას, რომელთაგან ზოგიერთი საკავშირო დოსააფისა და პროფკავშირულ ნაკრებ გუნდში ჩაირიცხა.

შარშან განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია „ბურევესტნიკის“ წევრმა, სოხუმელმა სპორტის ოსტატმა ა. გოროდიანკინმა. მან სსრ კავშირის იუნიორთა გუნდის შემადგენლობაში იტალიაში გამართულ კონტინენტის ჩემპიონატზე „გაქცეულ ტახზე“ სროლაში ევროპის რეკორდი დაამყარა და ოქროს მედალი მოიგო.

ამას წინათ საქართველოს პროფსაბჭოს სამდივნომ და დოსააფის ცენტრალურმა კომიტეტმა შეამოწმეს 1975 წლის 31 იანვარს მიღებული ერთობლივი დადგენილების შესრულება. აღმოჩნდა, რომ ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საბჭოების ნაწილი და დოსააფის ორგანიზაციები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ზრუნავენ ფიზკულტურულ კოლექტივებში სასროლო სპორტის დანერგვისა და განვითარებისთვის. განსაკუთრებით ჩამორჩებიან თბილისის, რუსთავის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის დოსააფის კომიტეტები, „სპარტაკის“ რესპუბლიკური და „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოები.

ამ კომიტეტებსა და საზოგადოებებში ძალიან დაბალია მოსახლეობის, მუშა-მოსამსახურეთა და სროლაში მომეცადინეთა პროცენტული შეფარდება, არასაკმარისია მაღალი თანრიგის სპორტსმენთა რაოდენობა. რამდენიმე წელია „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ გუნდები არამც თუ საკავშირო, რესპუბლიკურ შეჯიბრებაშიც აღარ მონაწილეობენ.

ცუდად მუშაობენ დოსააფის სასროლო სპორტული კლუბები, რომლებიც მოწოდებული არიან გადაიქცნენ სასროლო სპორტის მასობრივი განვითარებისა და სპორტსმენთა ოსტატობის სრულყოფის ცენტრებად.

პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების ფიზკულტურულ კოლექტივებსა და დოსააფის ორგანიზაციებში ტყვიის სროლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, ძალიან ნელა იზრდება დახურული ტირების რიცხვი, რის გამოც ფერხდება სრულწლიური ვარჯიშების მასობრივად ჩატარება; კოლექტივები, კომიტეტები, სექციები ხარისხიანი ინვენტარითა და ტყვია-წამლით საკმაოდ ვერ მარაგდება. ყველა ეს არის მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ნაკრებ გუნდებში ჯერ კიდევ ცოტაა დოსააფელი სპორტსმენი.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და ჩვენი რესპუბლიკის დოსააფის ცენტრალურმა კომიტეტმა მდგომარეობის გამოსწორებისთვის დასახეს ერთობლივი ღონისძიება, რომელიც დოსააფის კომიტეტებს, პროფკავშირულ ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს ავალებს აამაღლონ სასწავლო-სპორტული მუშაობა; საწარმოების, დაწესებულებების, მშენებლობების, სასწავლებლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურულ კოლექტივებში, დოსააფის პირველად ორგანიზაციებში შექმნან ტყვიის სროლის სწავლებისა და განვითარებისთვის საჭირო მტკიცე ბაზა; საფუძვლიანად გარდაქმნან მაღალკვალიფიციურ მსროლელთა მომზადების საქმე; უზრუნველყონ ახალგაზრდა პერსპექტიულ სპორტსმენთაგან რესპუბლიკის ნაკრების შევსება; მწვრთნელებისა და ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ყოველწლიურად გამართონ სასწავლო-მეთოდური შეკრება.

## [illegible]

### ✦ ხელვაჩაური

სტარტი აიღო ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილმა ხელვაჩაურის მოსწავლეთა XXX რაიონულმა სპარტაკიადამ.

დამთავრდა შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდური პირველობა ხელვაჩაურის საშუალო სკოლის მოჭიდავეებმა მოიპოვეს, II ადგილი ერგო მახოს საშუალო სკოლის გუნდს, ხოლო III — ქახაბრელ სპორტსმენებს.

წონითი კატეგორიის მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ზ. ვარშანიძე, ჯ. ბაკურიძე, ზ. თეთრაძე, მ. შარაბიძე, ო. ქართველიშვილი, მ. ვარშალომიძე, გ დიასამიძე, გ. აბულაძე, მ. დიასამიძე, ნ. ნაკაშიძე, ა. კობალაძე.

**ნ. დევაძე.**

### ✦ დუშეთი

დამთავრდა ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. ლორიაშვილი (გარდაბანი), ზ. კბილცეცხლაშვილი (დუშეთი), გ. გოგოლაური (დუშეთი), გ. ტაბლიაშვილი (გარდაბანი), ნ. გელაშვილი (თბილისი), გ. დავითაშვილი (თეთრი წყარო), ი. ჯოჯუა (ჭიათურა) და დ. ჩალაური (გორი).

**გ. ქახაბრიშვილი.**

# სეზონი სამხრეთში იწყება

## ახალი მწვრთნელი, დიდი ცვლილებები

მას შემდეგ, რაც ლობანოვსკი კიევის „დინამოს“ უფროს მწვრთნელად გადავიდა, დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ სათავეში ჩაუდგა უზბეკეთის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი კანევსკი. მისი პოზიციები ძლიერ შეარყია იმ ამბავმა, რომ შარშან „დნეპრი“ ძლივს გადაურჩა უმაღლესი ლიგის დატოვებას, ამიტომ მწვრთნელს გუნდთან გამოთხოვება მოუხდა. მის ნაცვლად „დნეპრს“ სათავეში ჩაუდგა სპორტის ოსტატი ვადიმ ივანოვი, რომელმაც ამას წინათ მწვრთნელთა უმაღლესი 2-წლიანი სკოლა დაამთავრა.

ვ. ივანოვი საკმაოდ ცნობილი ფიგურაა ჩვენს ფეხბურთში, გამოდიოდა მოსკოვის „დინამოსა“ და „სპარტაკში“, მოთამაშის კარიერა დაამთავრა სწორედ „დნეპრში“. მას მიაჩნია, რომ ადრე „დნეპრი“ ბევრს, მაგრამ არც თუ ნაყოფიერად ვარჯიშობდა, ამიტომ აამაღლა ვარჯიშის ხარისხი. „დნეპრმა“ წვრთნა ჯერ დნეპროპეტროვსკში დაიწყო, შემდეგ გაემგზავრა ლენინგრადში, სადაც „ნედელიას“ ტრადიციულ ტურნირში გამოვიდა. სეზონისთვის მზადების დასკვნითი ეტაპი დნეპროპეტროვსკელმა ფეხბურთელებმა შავი ზღვის სანაპიროზე წარმართეს. გუნდმა წარუმატებლად ითამაშა სსრ კავშირის თასზე, სადაც ფრეს პირველი ლიგის ახლანდელ დებიუტანტებთან — ოდესის არმიელებთან (1:1) წაგება მოჰყვა — 1:2.

მწვრთნელი დიდი პრობლემების წინაშე დადგა თუნდაც იმის გამო, რომ „დნეპრის“ შემადგენლობაში თვალსაჩინო ცვლილებები მოხდა. გუნდი დატოვეს მცველმა გოლიკოვმა, ნახევარმცველებმა შელესტმა, იაკოვლევმა, შნეიდერმანმა, თავდამსხმელებმა ლიაბიკმა, პალამარჩუკმა და, რაც მთავარია, ძირითადმა სნაიპერმა ს. მალკომ. გასაგებია, რომ ივანოვმა ადრევე იზრუნა შემცვლელებზე. მიწვეული იქნენ კარგად ცნობილი ოსტატები: მცველები ტროშკინი, მატვიენკო, ნახევარმცველი კოვალიოვი (სამივე კიევის „დინამოდან“), თავდამსხმელი კრამარენკო (მოსკოვის „დინამოდან“). ასეთ პირობებში ოპტიმალური შემადგენლობის ძიება, ეტყობა, კარგა ხანს გაგრძელდება.

საგაზაფხულო მატჩებში კარს ძირითადად იცავდა 25 წლის სტრიჟევსკი, „დნეპრის“ მეკარეთაგან ყველაზე ახალგაზრდა. დაცვის ხაზში ორი ადგილი კიევის „დინამოს“ ვეტერანებს დაუთმეს. 30 წლის მატვიენკოსა და მასზე ერთი წლით უფროს ტროშკინს, ეტყობა, ჯერ კიდევ შეუძლიათ სამსახური გაუწიონ ახალ კლუბს. შუა ხაზზე მასლოვთან, სოლოვიოვსა და კუცევთან ერთად თამაშობდა კოვალიოვი. რთული პრობლემებია გადასაწყვეტი თავდასხმაში, სადაც კრამარენკომ საერთო ენა უნდა გამონახოს გუნდის ვეტერან ხრისტიანსა და შარშანდელი შემადგენლობის სხვა თავდამსხმელებთან.

### სწორედ ის ზუბრიცკი...

შარშანდელი სეზონის შუაგულში, როდესაც ოდესის „ჩერნომორეცს“ საკავშირო ჩემპიონატში საქმე ძალიან ცუდად ჰქონდა, უფროს მწვრთნელს ალესკეროვს გუნდთან გამოთხოვება მოუხდა. ოდესელთა კოლექტივს სათავეში ჩაუდგა უკრაინის დამსახურებული მწვრთნელი, წარსულში კიევის „დინამოს“ ცნობილი მეკარე ზუბრიცკი. მან პროგრამა-მინიმუმი შეასრულა, შემოდგომაზე გუნდს უკვე აცდენილი ჰქონდა უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხე.

რა ცვლილებებია „ჩერნომორეცში“? გუნდიდან წავიდა ორი გამოცდილი მოთამაშე: ნახევარმცველი საპოჟნიკოვი ამჟამად მოსკოვის „ლოკომოტივშია“, თავდამსხმელი პოგორელოვი კი — ცსკა-ში. „ჩერნომორეცში“ ჩაირიცხნენ ბაქოს „ნეფთჩის“ მეკარე რომენსკი, მცველი გოლოვინი, რომელიც ადრე კიევის „დინამოში“ დუბლიორი იყო, შარშან კი ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ გამოდიოდა, თ. ესებუა ბათუმის „დინამოდან“ და სხვანი.

საკონტროლო თამაშებში და საკავშირო თასის მატჩებში ზუბრიცკიმ არაერთგზის გამოსცადა შარშანდელი დუბლიორი, 20 წლის მეკარე ჟეკიუ. ახლა ჟეკიუსა და რომენსკის შორის გარკვეული კონკურენცია იქნება.

დაცვას რაიმე არსებითი ცვლილება არ განუცდია. აქ წამყვანი ფიგურაა გუნდის კაპიტანი, 27 წლის ლეშჩუკი. შარშანდელი შემადგენლობიდან საკონტროლო თამაშებში სისტემატურად მონაწილეობდნენ გამოცდილი მცველები ნეჩაევი და ლოგვინენკო, რომლებსაც ახლა გოლოვინიც დაემატა.

ნახევარდაცვაში თამაშობენ პლოსკინა, უსტიმჩიკი და სოკოლოვსკი. მათს გარდა, ზუბრიცკი ცდიდა ზოგიერთ ახალგაზრდა ფეხბურთელსაც. თავდასხმაში შევჩენკოსთან ერთად, რომლისთვის შარშანდელი სეზონი ურიგო არ იყო, ადგილი დაიკავა ჩვენი გულშემატკივრებისთვის კარგად ცნობილმა თ. ესებუამ. სხვა კანდიდატები თავდასხმაში არიან კარპიუკი და იშჩაკი.

„ჩერნომორეცი“ ენერგიულად ემზადებოდა საკავშირო ჩემპიონატისთვის. ამ მზადების ნაყოფიერებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საკავშირო თასზე ოდესელებმა შეძლეს პირველ მერვედფინალურ მატჩში კიევის „დინამოს“ დამარცხება — 2:1.

# თბილისელთა „მხიარული დელფინი“

სპორტულ სარბიელზე მოპოვებული პირველი გამარჯვება დიდხანს, ძალიან დიდხანს დაამახსოვრდება სპორტსმენს. მომავალში ოლიმპიური თამაშების „ოქრო-ვერცხლის“ მთაც რომ დაუხვავდეს, მედლებს შორის მაინც ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს მიუჩენს პირველ ჯილდოს.

უთუოდ მისასალმებელია თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ინიციატივა კომკავშირის საქალაქო კომიტეტთან, განათლების განყოფილებასთან და საბინაო სამმართველოსთან ერთად ჩაეტარებინათ მასობრივი შეჯიბრება — „მხიარული დელფინი“.

შეჯიბრების ორგანიზატორთა აზრით, სამახსოვრო მედალი, რომელზეც წყლის მოლივლივე ტალღებიდან ამომხტარი მხიარული დელფინია აღბეჭდილი, სპორტულ სარბიელზე მოპოვებული პირველი ჯილდო უნდა ყოფილიყო მომავალი სპორტსმენებისთვის.

ამ შეჯიბრებაში არც წამებს ითვლიდნენ და არც გამარჯვებულები და პრიზიორები ვლინდებოდნენ. მედალს ყველა იღებდა, ვინც ნებისმიერი სტილით 25 მეტრს გაცურავდა.

ასპარეზობაში, დებულებით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 12-13 წლის მოსწავლეები უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ ცისფერ ბილიკებზე ბევრი 11 წლის ბავშვიც ვიხილეთ: ისინი „დინამოს“, „შრომითი რეზერვებისა“. და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცურაო აუზებში გამოდიოდნენ.

შეჯიბრების ორგანიზატორთავარაუდით, საცურაო აუზებში 162 სკოლის 5000-მდე ბავშვს ელოდნენ. სტარტზე კი თითქმის ნახევარი — 2231 მოსწავლე გამოვიდა, მათგან 1813 ბიჭი იყო. ოცმა სკოლამ თავი აარიდა საცურაო აუზებში გამართულ გამოცდას. 37-ე, 82-ე, 83-ე, 108-ე, 131-ე, 145-ე, 149-ე და 152-ე საშუალო სკოლებმა სტარტზე გამოიყვანეს... ცურვის არმცოდნე ბავშვებიც. 106-ე საშუალო სკოლამ კი თერთმეტი მოსწავლე წარმოადგინა და მათგან შვიდმა ცურვა არ იცოდა.

სკოლებს შორის საუკეთესო აღმოჩნდა 76-ე საშუალო სკოლის გუნდი, ხოლო რაიონებში — პირველი მაისის კოლექტივი.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა შეჯიბრების სახელწოდებაზე. ისე არ გაგვიგოთ, თითქოს პატარების ამ შეჯიბრების სახელწოდება არ მოგვწონდეს. პირიქით, „მხიარულ დელფინს“ ვერც შინაარსს დაუწუნებთ, ვერც ჟღერადობას. მაგრამ, ხომ არსებობს ამავე სახელის, თოთხმეტი წლის ნაცნობი ასპარეზობა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. იქნებ უპირატესობა „ოქროს თევზისთვის“ მიგვეცა, მით უმეტეს, რომ ასეთი სახელწოდების საქალაქო შეჯიბრება ერთ დროს არსებობდა, შემდეგ კი, სამწუხაროდ, დაივიწყეს.

და კიდევ, იქნებ მომავალში ამგვარ შეჯიბრებაში კიდევ უფრო პატარები, ვთქვათ 8-9 წლის ბავშვები გამოგვეყვანა, თორემ სადაც წესი და რიგია, 13-12 წლის ბავშვები უკვე პირველთანრიგოსნები უნდა იყვნენ. ჩვენი სიტყვების დასტურად თუნდაც ის გამოდგება, რომ მოცურავეები უკვე 15 წლის ასაკში მსოფლიო რეკორდებს ამყარებენ. გავიხსენოთ პრესაში ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ 15 წლის ავსტრალიელმა გოგონამ ტრეისი უიკჰემ ბრისბენში გამართულ ქვეყნის ჩემპიონატში მსოფლიო რეკორდი დაამყარა. გავიხსენოთ ტრეისის თანამემამულე შეინ გოულდი, რომელმაც ამავე ასაკში მსოფლიო რეკორდების „კორიანტელი“ დააყენა. კიდევ ბევრის გახსენება შეიძლება...

ა. რაჟველიშვილი.

## ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

### ცურვა

ლენინგრადელებს ძალიან მოსწონთ სპორტული შეჯიბრებების ახალი სახეობა — კონკურსი „მამა, დედა და მე — სპორტული ოჯახი“. ამ სახალისო ასპარეზობებზე დედები, მამები და ბავშვები აჩვენებენ თავიანთ ოსტატობას ცურვაში, წყალში ხტომასა და ბაიდარებით ნიჩბოსნობაში.

* * *

სურათებზე: მონაწილეთა ალლუმი და კონკურსის პრიზიორი კუზნეცოვების ოჯახი.

საკდესის ფოტო.





# ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

### I ჯგუფი

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

თამაში მიმდინარეობდა ორმხრივ იერიშებში. ჯერ, 27-ე წუთზე, დაწინაურდნენ მასპინძლები (ჯ. ოდიშარია), შემდეგ კი მცირე ხანში გაგნიძემ აღადგინა წონასწორობა.

ასკ (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:2. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

შეხვედრა დაიწყო სტუმრების უპირატესობით და 24-ე წუთზე ბოჭორიშვილმა გახსნა ანგარიში, რასაც მალე მოჰყვა რამიშვილის საპასუხო გოლი. შემდეგ, კიკნაველიძის ზუსტი დარტყმის შედეგად ზესტაფონელი ფეხბურთელები ერთხელ კიდევ დაწინაურდნენ, ხოლო არმიელებს კვლავ მოუხდათ ანგარიშის გათანაბრებაზე ფიქრი. ეს გააკეთა მუკბანიანმა.

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი ნ. მუხაშავრია (ბათუმი).

„ივერია“ (ხაშური) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:1. მსაჯი ზ. ზუმბაძე (ახალციხე).

ტაიმი დამთავრდა ფრედ — 1:1. ბურთები გაიტანეს ხაშურელმა კობერიძემ და ცხინვალელმა ა. ქოზაევმა. გადამწყვეტი გოლის გატანა თამაშის მეორე ნახევარში შეძლო ლაბაძემ.

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:1. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „კოლხეთი“ (ფოთი) 0:0. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

„იბერია“ (ქარელი) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).

„ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — „ნადიკვარი“ (თელავი) 8:1. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

თერჯოლელი ფრუიძის მიერ პირველ ტაიმში გატანილი გოლი 69-ე წუთზე გაქვითა მაისურაძემ. „ენერგეტიკოსი“ კვლავ დაწინაურდა სილაგაძის ზუსტი დარტყმის შემდეგ, მერე კი ფრუიძემ მესამედ აიღო სტუმრების კარი. თელაველმა რევაზიშვილმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა.

„სპარტაკი“ (თბილისი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:1. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).

50-ე წუთზე სპარტაკელმა ხაჩატურიანმა ზუსტად გამოიყენა პენალტი, მაგრამ სტუმრებმა ენერგიული თამაშით შეძლეს თავი დაეღწიათ დამარცხებისთვის. საპასუხო გოლის ავტორია გაგუა.

„მზიური“ (გალი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

გალელთაგან ბურთები გაიტანეს ზაქარაიამ, ხარაბაძემ და ესიპოვმა, რუსთაველთაგან კი ალადაშვილმა და არევაძემ.

„მალაროელი“ (ჭიათურა) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:3. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).

პირველი ტაიმი „მალაროელმა“ მოიგო მინიმალური ანგარიშით (ლომსაძე). ეს გოლი გაქვითა ვ. ბოჭორიშვილმა, შემდეგ კი ქარქაშაძემ 2 ბურთის გატანა შეძლო მასპინძელთა კარში.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ ფ. | 6 | 5 | 1 | 0 | 17—1 | 11 |
| „მეშახტე“ | 6 | 5 | 0 | 1 | 10—5 | 10 |
| „კოლხეთი“ ხ. | 6 | 3 | 3 | 0 | 6—1 | 9 |
| „ჩიხურა“ | 6 | 3 | 2 | 1 | 11—6 | 8 |
| „მეტალურგი“ რ. | 6 | 3 | 2 | 1 | 9—4 | 8 |
| „მერცხალი“ | 5 | 2 | 3 | 0 | 6—2 | 7 |
| „მზიური“ | 5 | 3 | 0 | 2 | 11—6 | 6 |
| „მალაროელი“ | 5 | 3 | 0 | 2 | 8—6 | 6 |
| „სქური“ | 6 | 1 | 4 | 1 | 6—6 | 6 |
| „სპარტაკი“ თბ. | 5 | 2 | 2 | 1 | 4—4 | 6 |
| „სალხინო“ | 6 | 1 | 4 | 1 | 6—8 | 6 |
| ასკ თბ. | 8 | 1 | 4 | 3 | 8—11 | 6 |
| „ეგრისი“ | 7 | 1 | 4 | 2 | 3—7 | 6 |
| პოლ. ინსტ. | 6 | 2 | 1 | 3 | 8—8 | 5 |
| „ივერია“ ხ. | 6 | 2 | 1 | 3 | 4—9 | 5 |
| „ამირანი“ | 6 | 1 | 3 | 2 | 2—7 | 5 |
| ფიზკ. ინსტ. | 6 | 2 | 1 | 3 | 5—12 | 5 |
| „მეტალურგი“ ზ. | 5 | 1 | 2 | 2 | 8—6 | 4 |
| „ნადიკვარი“ | 6 | 1 | 2 | 3 | 7—8 | 4 |
| „სპარტაკი“ ცხ. | 6 | 1 | 2 | 3 | 4—5 | 4 |
| „დურუჯი“ | 5 | 1 | 2 | 2 | 3—9 | 4 |
| „ენერგეტიკოსი“ | 6 | 1 | 0 | 5 | 5—11 | 2 |
| „იბერია“ ქ. | 6 | 0 | 2 | 4 | 3—10 | 2 |

### II ჯგუფი

#### I ზონა

„განთიადი“ (თბილისი) — „გიგანტი“ (გამარჯვება) 5:1, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:0, „ვარძია“ (ასპინძა) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 3:2, „ფიჩხოვანი“ (ახმეტა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:2, „მესხეთი“ (ახალციხე) — „იორი“ (თიანეთი) 5:1, „სიონი“ (ბოლნისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 3:1, „არაგვი“ (მცხეთა) — „სამცხე“ (აწყური) 2:0, „აბული“ (ახალქალაქი) — „თრიალეთი“ (წალკა) 0:0. ადიგენის „განახლებას“ გამარჯვება ჩაეთვალა სიღნაღის „ცისკართან“.

#### II ზონა

„სულორი“ (ვანი) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 1:1, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) 2:2, „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) — „მეშაქრე“ (აგარა) 2:1, „მექალალდე“ (ზუგდიდი) — „სენაკი“ (ცხაკაია) 3:0, „გიგანტი“ (ლაითური) — „ავტომობილისტი“ (აბაშა) 2:0, „ოჯალეში“ (ბანძა) — „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) 3:1, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 1:2.

### საჯარიმო ფურცელი

განვლილ მატჩებში გაფრთხილებული არიან ლ. რევაზიშვილი („ნადიკვარი“, თელავი), ბ. უგულავა („იმერეთი“, წულუკიძე) და თ. კინწურაშვილი („ეგრისი“, ცხაკაია). მეორე გაფრთხილება მიიღო ფოთელმა ნ. ტყებუჩავამ, რომელიც დისკვალიფიცირებულია ერთი თამაშით.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

## სსრ კავშირის თასზე

სოჭი, 8 აპრილი. აქ შედგა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩი მოსკოვის „დინამოსა“ და დუშანბეს „პამირს“ შორის. მოსკოველებს პირველი შეხვედრა მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 2:0, ახლა ისინი დასჯერდნენ ფრეს (0:0) და მერვედფინალში გავიდნენ.

## მოკლედ

ვენა. მოსკოვის „დინამოს“ მეტოქემ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე, ვენის „აუსტრიამ“, რომელმაც უკვე მოიპოვა ავსტრიის ჩემპიონობა, თავისი ქვეყნის პირველობაზე ფრედ ითამაშა ინსბრუკის გუნდთან — 1:1.

ლიმა. პერუს ნაკრებმა აქ მიიღო ბულგარეთის ეროვნული გუნდი და მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პროგრამით ჩაატარა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. ანგარიში 25-ე წუთზე გახსნა ბულგარელმა მანოლოვმა. ეს გოლი 62-ე წუთზე გაქვითა რამირესმა — 1:1.

მოძმე სოციალისტური ქვეყნები

## „დიდი კატის“

ბუდაპეშტი. „მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო უნგრეთს მიეკუთვნება“, — ასე ამბობენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში. მას მოიპოვებს უნგრული ალჭურვილობა, რომელიც ოლიმპიადა-80-ისთვის დაიდგმება.

— ოლიმპიადა-80-ის ობიექტებისთვის ჩვენ უკვე გავგზავნეთ მიკროტალღიანი ალჭურვილობის პირველი პარტია, რომელიც ბუდაპეშტის რადიო და სატელევიზიო აპარატურის ქარხანა „ირიონში“ დამზადდა, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში უნგრეთის საწარმო „ელექტროიმპექსის“ კომერციულმა დირექტორმა დიერდ ვეგმა. — წილად გვხვდა პატივი ვიყოთ მოსკოვის ოლიმპიადისთვის საინფორმაციო ელექტროტაბლოს მიმწოდებელი. ამ ალჭურვილობამ მეხიკოს, გრენობლის, მიუნხენისა და მონრეალის ოლიმპიადებზე დიდი მოწონება დაიმსახურა.

1980 წლის ოლიმპიადის დროს იმუშავებს 26 ელექტროტაბლოსგან შემდგარი 19 უნგრული საინფორმაციო სისტემა, რომელთა საშუალებით იწარმოებს უმნიშვნელოვანესი სპორტული მოვლენების გადაცემა, პირდაპირი რეპორტაჟები სპორტული მოედნებიდან, ფილმებისა და სატელევიზიო რეპორტაჟების ჩანაწერების ჩვენება.

— ვივალდებულეთ, — აღნიშნა დ. ვეგმა, საბჭოთა კავშირში 1979 წლის 30 სექტემბრისთვის დავდგათ ოლიმპიური თამაშებისთვის განკუთვნილი ყველა მოწყობილობა. უნგრული ოლიმპიური მოწყობილობა პირველად სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე გამოიცდება. (საკდესი).







## [illegible]

15 წლის მოსწავლე გოგონამ — ტრეისი უიკჰემმა ავსტრალიის ჩემპიონატზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. 800-მეტრიან დისტანციაზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 8.30,53.

ჩეხოსლოვაკიის ცნობილი სამთო კურორტის შპინდლეროვ-მლინის სპორტულმა სკოლამ არსებობის 6 წლის მანძილზე 20 ათასამდე მოთხილამურე აღზარდა. სურათზე (ზემოთ): ამ ტრასაზე ყველაზე პატარები ვარჯიშობენ.

ხუთი მამაცი შვედი მოთხილამურე მონაწილეობს თხილამურებით 1500-კილომეტრიან გადასვლაში. ჩრდილოეთ შვეციის უკაცრიელ მთიან რაიონებში 2 მარტს დაწყებული ეს მოგზაურობა 1 მაისს დამთავრდება. სურათზე (ქვემოთ): მოგზაურები ლაშქრობის წინ.

### იქნებ მართლა ბრუნდება?

ბუკოვინოს (იუგოსლავია) დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირის ორგანიზატორებმა შეჯიბრებაზე საპატიო სტუმრად მიიწვიეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი რ. ფიშერი (აშშ), რომელიც თითქმის ხუთი წელია აღარ მონაწილეობს ტურნირებში.

ფიშერმა მასპინძლებს უპასუხა, რომ ტურნირს ვერ დაესწრება, რადგან შეჯიბრებას რაღაც კავშირი მაინც აქვს ფიდე-სთან. ამერიკელი დიდოსტატი არ ცნობს ფიდე-ს და მის თავკაცებს. სამაგიეროდ, ფიშერმა გამოთქვა სურვილი თუნდაც ერთი ამხანაგური პარტია ეთამაშოს გამოჩენილ იუგოსლაველ დიდოსტატ ს. გლიგორიჩს, რომელიც, მისი სიტყვით, ჭეშმარიტი ჯენტლმენია.

გაზეთი „სპორტსკე ნოვოსტი“ (ზაგრები) შენიშნავს, რომ გლიგორიჩთან შეხვედრის სურვილი ჭადრაკში ფიშერის დაბრუნებას ნიშნავს და იქვე მოჰყავს მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ბ. სპასკის (სსრ კავშირი) ნათქვამი:

— მჯერა, რომ ფიშერი დაუბრუნდება ჭადრაკს, მით უმეტეს, თუ განხორციელდა გლიგორიჩთან მისი შეხვედრა.

### ჭადრაკი

### საბჭოთა ზონალური

5 აპრილს ლვოვში დაიწყება ვაჟთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირი. მასში საასპარეზოდ მიწვეულია 14 დიდოსტატი და 1 საერთაშორისო ოსტატი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სსრ კავშირის 45-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირში. ისინი საზონათშორისო ტურნირის ოთხი საგზურისთვის იბრძოლებენ.

ტურნირში არ ითამაშებენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი და დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი, რომლებიც, როგორც მიმდინარე მსოფლიო პირველობის ციკლის პრეტენდენტთა მატჩების მონაწილენი, პირდაპირ არიან დაშვებული საზონათშორისო ტურნირში.

ლვოვის ტურნირის მთავარი მსაჯია დიდოსტატი და საერთაშორისო არბიტრი ი. ბონდარევსკი. შეჯიბრება 28 აპრილამდე გასტანს.

### მოულოდნელი დასაწყისი

აშშ-ის ქალაქ ლონ-პაინში (კალიფორნიის შტატი) დაიწყო ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის 69 მონაწილეს შორის არიან გამოჩენილი დიდოსტატები ტ. პეტროსიანი (სსრ კავშირი), აშშ-ის ჩემპიონი უ. ბრაუნი, ი. ტიმანი (ჰოლანდია), ბ. ლარსენი (დანია), უ. ლომბარდი (აშშ), ხ. ვესტერინენი (ფინეთი) და ცნობილი საერთაშორისო და ეროვნული ოსტატები სხვადასხვა ქვეყნიდან.

შეჯიბრება მოულოდნელი შედეგებით დაიწყო — დიდოსტატთაგან გაიმარჯვეს მხოლოდ პეტროსიანმა და ბრაუნმა. პირველმა ჰოლანდიელ ჰ. ბემს მოუგო, მეორემ — ინგლისელ შ. ტოლბატს. ლარსენი დამარცხდა ჯ. სპილმენთან (ინგლისი), ტიმანი — ი. სეირავანთან (აშშ), ლომბარდი — ვან დერ სტერენთან (ჰოლანდია) და ვესტერინენი — ე. მეიერთან (აშშ).

## უძლიერესნი არქიტექტორთა შორის...

კოხტაგორა-I სამი დღის განმავლობაში მასპინძლობდა უძლიერეს საბჭოთა მოთხილამურე არქიტექტორებს. გიგანტური სლალომის ტრასაზე (სიგრძე 700 მეტრი, სიმაღლეთა სხვაობა 170 მეტრი, 30 კარი) საასპარეზოდ პირველნი ქალები გამოვიდნენ. ჩემპიონის ტიტული 35 წლის მოსკოველმა მოთხილამურემ, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტ „გიპრონიიზდრავის“ დირექტორის მოადგილემ, არქიტექტურის კანდიდატმა ელენე ოპოლოვნიკოვამ მოიპოვა — 1.57,0. მასზე უკეთესი შედეგი ჰქონდა თბილისელ სპორტის ოსტატობის კანდიდატს, არქიტექტორ-ტექნიკოსს, 29 წლის ელზა აბრამიშვილს (1.20,0). მაგრამ შეჯიბრების წესების თანახმად, მონაწილენი, რომლებიც არქიტექტორთა კავშირის წევრები არ არიან, ასპარეზობაში კონკურსგარეშე გამოდიოდნენ.

სიტუაცია სწრაფდაშვებაშიც განმეორდა: ოპოლოვნიკოვამ (1.52,2) პირველობა მოიპოვა, ელზამ კი ყველაზე სწრაფად დაფარა 900-მეტრიანი დისტანცია — 1.11,3.

აბრამიშვილის დრო საუკეთესო იყო სპეციალურ სლალომშიც (ორი ცდა) — 1.15,6. გამარჯვება აქ მის თანატოლს, მოსკოვის ქალაქდაგეგმარების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-მუშაკს, არქიტექტურის კანდიდატს გალინა სიმკოვსკაიას მიეკუთვნა — 1.53,9.

ვაჟთა გიგანტური სლალომის ტრასა (მისი პარამეტრები იგივე იყო) ყველაზე სწრაფად კონკურსგარეშე მონაწილე „მოსპროექტ-2“-ის ინსტიტუტის თანამშრომელმა ალექსი პერშინმა დაფარა — 2.18,9. პირველი ადგილი აქ 39 წლის თბილისელმა არქიტექტორმა, „საქქალაქმშენსახპროექტის“ მთავარმა არქიტექტორმა ვახტანგ მიქელაძემ მოიპოვა — 2.19,9. მისი კოლეგა და თანატოლი ლევან ლორთქიფანიძე მესამე ადგილზე გამოვიდა — 2.24,4.

41 წლის არქიტექტორმა თამაზ ქავთარიამ, რომელიც იმავე ინსტიტუტში მუშაობს, საკუთარ თავს დაბადების დღეს კარგი საჩუქარი უძღვნა — გაიმარჯვა სწრაფდაშვებაში — 1.03,9. გამარჯვებულს 0,2 წამით ჩამორჩა კიეველი არქიტექტორი ალექსანდრე კომაროვსკი.

სპეციალურ სლალომში (ტრასის სიგრძე 300 მეტრი, სიმაღლეთა სხვაობა 90 მეტრი, 32 კარი) უძლიერესი იყო ნოვოსიბირსკის საპროექტო ინსტიტუტის „სიბზნიიეპის“ სახელოსნოს ხელმძღვანელი, არქიტექტურის კანდიდატი ვალერი ხაჩულინი — 1.12,9, თუმცა მასზე უკეთესი დრო ჰქონდა კონკურსგარეშე მონაწილეს, ამავე ინსტიტუტის უფროს არქიტექტორს ვლადიმერ კონდრატოვიჩს — 1.06,3. ლევან ლორთქიფანიძე კვლავ მესამე იყო — 1.13,3.

### თხილამურები

ასპარეზობის მონაწილეებმა იქვე გაითამაშეს სპეციალური პრიზები სლალომში, ეგრეთწოდებული „მოთხილამურე არქიტექტორების იმედი“, რომლებშიც 12 წლის ასაკამდე გოგო-ბიჭები გამოდიოდნენ.

გოგონათა შორის უძლიერესი იყო თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე ნუცა ალექსი-მესხიშვილი (1.27,9). ამ სტარტების შემდეგ იგი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში შეიყვანეს. ლადო ალექსი-მესხიშვილის პრიზი გადაეცა შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს — 5 წლის თამრიკო მიქელაძეს, რომელსაც მეორე შედეგი (2.22,9) ჰქონდა.

უმცროსი ასაკის ბიჭებში ყველას აჯობა ბაკურიანელმა მოსწავლემ, 8 წლის ლევან აბრამიშვილმა — 1.21,3. მეორე ადგილზეა მისი თანაგუნდელი დავით ოგანეზოვი — 1.30,9, მესამეზე — თბილისელი ლევან თოფაძე — 1.44,0, რომელმაც ერთი წამით გაუსწრო უფროს ძმას — ირაკლის.

უფროსი ასაკის ბიჭებში საპრიზო სამეული ასე განაწილდა: გია ხაზარაძე — 1.07,4, მიხეილ მახარაძე — 1.09,6, გუგა დევდარიანი — 1.12,0. საინტერესოა, რომ მათთან ერთად გამოდიოდა 11 წლის პოლონელი პეტერ ბელეცკიც (VII ადგილი), რომელიც ბაკურიანში მამასთან ერთად — პოლონეთის საინფორმაციო სააგენტოს მოსკოველ კორესპონდენტ მაცეი ბელეცკისთან ერთად ჩამოვიდა.

ბაკურიანშივე გაიმართა სსრ კავშირის არქიტექტორთა სათხილამურო კლუბის (ლკა) პირველი დამფუძნებელი კრება. კლუბის მიზანია გააერთიანოს ჩვენი ქვეყნის მოთხილამურე არქიტექტორები (შემოქმედებითი კავშირის წევრობა აუცილებელია). იგი სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირთან იარსებებს. მისი მოღვაწეობა ითვალისწინებს შემოქმედებით შეხვედრებს, დისკუსიების, სემინარების, გამოფენების და მოთხილამურეთა ყოველწლიური შეჯიბრებების გამართვას.

არქიტექტორთა საკავშირო კლუბის ცენტრად დამტკიცდა თბილისი. კლუბის პრეზიდენტად არჩეულია ა. ჯაფარიძე (თბილისი), ვიცე-პრეზიდენტებად ა. ლვოვი (მოსკოვი) და ვ. ხაჩულინი (ნოვოსიბირსკი), პასუხისმგებელ მდივნად — ვ. მიქელაძე (თბილისი). მოთხილამურეთა კლუბის № 1 საპატიო წევრად ერთხმად არჩეულია ლადო ალექსი-მესხიშვილი.

ო. ნოზაძე.

ბაკურიანი.



## მინუს 2-დან პლუს 27-ამდე

### როგორი ამინდია მოსალოდნელი მსოფლიო ჩემპიონატზე?

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის გახსნამდე 2 თვე დარჩა. ახლა მიმდინარეობს უკანასკნელი მოსამზადებელი სამუშაოები, მთელს არგენტინაში ფეხბურთის ციებ-ცხელებაა, ყველაფერი ფეხბურთის გარშემო ტრიალებს, იგრძნობა მოახლოებული ბრძოლების სუნთქვა.

სხვა სიძნელეებთან ერთად მონაწილე გუნდებისთვის ერთ-ერთი იქნება ამ ქვეყანაში ივნისის თვისთვის დამახასიათებელი ცვალებადი ტემპერატურა. საინტერესოა, თუ როგორ შეხვდება ბუენოს-აირესი ჩემპიონატის გახსნას, ვინაიდან ტემპერატურის საკითხი აღელვებთ ფეხბურთელებს და მწვრთნელებს. ერთის თქმა კი უკვე დღეს შეიძლება, რომ მთელი ჩემპიონატის მანძილზე ტემპერატურა ევროპის გუნდებისთვის ძირითადად ასატანი იქნება.

1 ივნისს, ჩემპიონატის გახსნის დღეს, ბუენოს-აირესში გფრ — პოლონეთის შეხვედრის დროს კარგი ამინდია მოსალოდნელი. ამ დღეს სინოპტიკოსები პლუს 18 გრადუსამდე ავა, მომდევნო დღეებში კი მცირე აგრილებაა მოსალოდნელი.

„სიცივის პოლუსებად“ ივნისის თვეში არგენტინაში ითვლება მენდოზა და მარ-დე-პლატა, სადაც ტემპერატურა მინუს 3 გრადუსამდე შეიძლება დაეცეს. გასულ წელს, ამ პერიოდში, მენდოზაში თოვლიც კი მოვიდა. საერთოდ, ამ მხარეებისთვის დამახასიათებელია ხშირი ქარი და წვიმა.

არგენტინის, გფრ-ის, პოლონეთის, იტალიის, უნგრეთის, საფრანგეთის, ესპანეთის, ავსტრიის და შვეციის გუნდებს ერთხელ მაინც მოუწევთ ბუენოს-აირესში თამაში, სადაც შარშან ივნისის ტემპერატურა— პლუს 3-22 გრადუსს შორის მერყეობდა.

ბრაზილიელებს, ფრანგებს, იტალიელებს, უნგრელებს, შვედებს, ესპანელებს და ავსტრიელებს გამოსვლა მოუხდებათ მარ-დე-პლატის სტადიონზე, სადაც ივნისის საშუალო ტემპერატურა მინუს 3 და პლუს 20 გრადუსებს შორისაა მოსალოდნელი.

კორდობაში საშუალოდ 7 დღეში ერთხელ წვიმს. აქაც ერთობ არათანაბარი ტემპერატურაა ივნისის თვეში: მინუს 2, პლუს 27 გრადუსი. კორდობის 50.000-იან სტადიონზე ერთმანეთის პირისპირ დადგებიან მექსიკის, გფრ-ის, ტუნისის, პერუს, შოტლანდიისა და ირანის გუნდები.

ჰოლანდიელები, ირანელები, პერუელები და შოტლანდიელები მენდოზასაც ესტუმრებიან, სადაც ტემპერატურა წლის ამ თვეში მარ-დელ-პლატის მსგავსად მინუს 3 და პლუს 24 გრადუსს შორის მერყეობს.

რაც შეეხება როზარიოს, სადაც ტუნისის, მექსიკისა და პოლონეთის გუნდები ითამაშებენ, ივნისის ტემპერატურა მეტად ცვალებადია, არამდგრადი, მინუს 1, პლუს 27 გრადუსებს შორის.

როგორც ჩანს, ზოგიერთი ეროვნული ნაკრებისთვის არგენტინული ივნისი ცხელი იქნება, ზოგიერთისთვის კი... თუმცა, უმჯობესია პროგნოზები გვერდზე გადავდოთ და თვით ჩემპიონატს დაველოდოთ.

გერმანულიდან თარგმნა მ. რადიანმა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-66-14 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-58; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-63; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07771